საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 06-01/76

ქ. ბათუმი 30 ივლისი, 2019 წ.

2019 წლის 16 სექტემბრიდან ბსუ-ს აკადემიური თანამდებობების დასაკავებელი კონკურსის შედეგად 65 წელს მიღწეული პირების არჩევის შესაძლებლობის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, 33-35-ე მუხლების, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, 59-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის, ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანის გიზო ფარცხალაძის (MES 6 19 00979291, 25.07.2019), ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მარინა გიორგაძის (MES 4 19 00980675, 24.07.2019), იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის ლევან ჯაყელის (MES 8 19 00976610, 23.07.2019), საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის მარინა ქორიძის (MES 5 19 00975915, 23.07.2019), ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანის ლელა თურმანიძის (MES 1 19 00951386, 15.07.2019) მოხსენებითი ბარათების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დასაშვებად ჩაითვალოს 2019 წლის 16 სექტემბრიდან ბსუ-ს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 11 ივლისის №01-02/114 ბრძანებით გამოცხადებულ კონკურსში 65 წელს მიღწეული ან მეტი ასაკის პირების არჩევა ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტზე და იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე.
2. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (აკადემიური საბჭოს აქტების და კონკურსების ველებში) და დაეგზავნოს შესაბამის ფაკულტეტებს.
3. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**